



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 53

2011 წლის 6 მაისი
ქალაქი ხაშური

სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტების გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2011 წლის 5 მაისს (სატენდერო განცხადება SPA 110011679) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სამგზავრო ტრანსპორტის (რეზერვისტების გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების შესყიდვაზე, რომელიც არ შედგა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 26 აპრილის #282 ბრძანების მოცემულ ვადებში შეუფერხებელი შესრულებისათვის განსახორციელებელია რეზერვისტების გადაყვანა ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის(რეზერვისტების გადასაყვანად ქალაქ ხაშურიდან ქალაქ გორში) მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განხორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.№2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.№15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი როსტომ გრიგალაშვილი

